საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, უშანგი ჩხეიძის ქ. №12-16-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა“.

შ.პ.ს. „ბიგა“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, უშანგი ჩხეიძის ქ. №12-16-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, უშანგი ჩხეიძის ქ. №12-16-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „გეოგემა“-ს გეოლოგიურმა ჯგუფმა 2015 წლის დეკემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟ. გეოლოგი მ. ბაბილიძე. კლდოვანი ქანების სიმტკიცის მაჩვენებლები განსაზღვრული იქნა საქართველოს გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში. წყლის ქიმიური ანალიზები შესრულებულია მათ ლაბორატორიაში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 2გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. მიწერილობა ---------- 1გვ.
4. ცხრილი კლდოვანი ქანების სიმტკიცეზე---------- 1გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე ---------- 2გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 2ფურც
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 2ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფით. შენობის ზომებია (21.0X40.0)მ. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება

იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 30 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოსაკვლევად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი გრუნტი
2. ფენა – 2 – თიხნარი, მყარპლასტიკური კონსისტენციის
3. ფენა – 3 – კენჭნარი ქვიშნარის შემავსებლით
4. ფენა – 4 – სუსტად გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები

ანგარიშში ძირითადად განხილულია კლდოვანი ქანების თვისებები და სიმტკიცის მაჩვენებლები. ავტორის წინადადებით შენობა უნდა დაფუძნდეს ძირითად ქანებზე, რასაც ვეთანხმებით.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა ზედაპირიდან 4.9-6.0 მ. სიღრმეზე. ანგარიშში მოცემულია საკვლევი წყლის აგრესიულობის ხარისხი სხვადასხვა ცემენტების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, უშანგი ჩხეიძის ქ. №12-16-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/